მუსლიმი კაცის მიერ ზურგს უკან ვედრება თავისი ძმისთვის მიღებულია

უმმ დარდა და აბუ დარდა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ან გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «მუსლიმი კაცის მიერ ზურგს უკან ვედრება თავისი ძმისთვის მიღებულია, მას თავთან ანგელოზი ჰყავს მინდობილი, და როდესაც ის ვედრებას გააკეთებს თავისი ძმისთვის სიკეთის თაობაზე, ეს ანგელოზი ამბობს: ამინ! და შენც იგივე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ მუსლიმის ვედრება თავისი მუსლიმი ძმისთვის მიღებულია, რადგან ეს უფრო მეტად გამოხატავს გულწრფელობას. ასევე, ადამიანის თავთან იმყოფება დავალებული ანგელოზი, რომელიც ყოველ ჯერზე, როცა ის სიკეთეს სთხოვს თავისი ძმისთვის, ამბობს: "ამინ! და შენც იგივე, რაც ითხოვე მისთვის".

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3219